



ცვლილებების ინიციატორთა ფორუმი 2014 წლის 13-14 თებერვალი

სესიის მიმოხილვა

სოციალური საწარმო: სოციალური ცვლილების კატალიზატორი

სესიის მიზანი გახლდათ, წარმოეჩინა სოციალური მეწარმეობის პოტენციური სოციალური ცვლილებისა და სოციალური ინოვაციების დამკვიდრების კუთხით. სესიის მსვლელობისას ყურადღება გამახვილდა სოციალური საწარმოს ცნებაზე საქართველოს კონტექსტში და განხილული იქნა სოციალური მეწარმეობის სფეროში სამთავრობო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორებს შორის თანამშრომლობის პოტენციური კონკრეტული სოციალური პრობლემების დაძლევის მიზნით. სესიის მონაწილეებმა, ასევე, მიმოხილეს საერთაშორისო გამოცდილება. დისკუსია გაიმართა შემდეგი საკითხების ირგვლივ: რა სარგებელი მოაქვს სოციალურ საწარმოს სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის? სექტორებს შორის თანამშრომლობამ როგორ შეიძლება შეუწყოს ხელი სოციალურ ერთობას? როგორ შეიძლება ადგილობრივ სოციალურ საწარმოებს დაეხმაროს სახელმწიფო?

სესიის ხელმძღვანელი: ვიქტორ ბარამია, პროგრამის უფროსი მენეჯერი, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

მომხსენებლები:

1. ნირ ცუკი, მმართველი დირექტორი, სოციალურ საწარმოთა გაერთიანება „აშოკა“ (ისრაელი)
2. ეკატერინე დათუაშვილი, სოციალური მეწარმეობის პროგრამის კოორდინატორი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG)
3. ზვიად არჩუაძე, ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი, თბილისის მერია
4. კახა კოხრეიძე, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის აღმასრულებელი პრეზიდენტი
5. ირაკლი ჟორჟოლიანი, ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის დირექტორი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

- სოციალური მეწარმეობის კონცეფციაზე საუბრისას ნირ ცუკმა ხაზი გაუსვა სხვაობას სოციალურ მეწარმეობასა და სოციალურ საწარმოს შორის. ამის წარმოსაჩენად მან წარმოადგინა „აშოკას“ მოდელი, რომელიც ეფუძნება დაინტერესებულ პიროვნებებში სოციალური მეწარმეობის სულისკვეთების და შესაბამისად უნარების გაღვივებას და მხარდაჭერას. ასეთი საქმიანობის შედეგია აშოკას ათასობით ე.წ. მიმდევარი, სოციალური მეწარმე, რომელიც საკუთარი აქტიურობით და ძალისხმევით ხელს უწყობს ადგილზე კონკრეტული ინიციატივების განხორციელებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონტექსტში, სოციალური საწარმოები ძირითადად იქმნება არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბაზაზე, რომელთა სოციალური მისია იმთავითვე განსაზღვრავს სოციალური საწარმოს სოციალურ შემადგენელს.
- სოციალური მეწარმეობის კონცეფციაზე საუბარმა და ამ მხრივ საერთაშორისო გამოცდილების მოკლე მიმოხილვამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საჭიროა ყველა დაინტერესებული მხარის ძალისხმევა და ჩართულობა, რათა განისაზღვროს ის ძირითადი

მიდგომები და პრინციპები, რომლებსაც უნდა მისდოს საქართველომ სოციალური მეწარმეობის განვითარების გზაზე.

- სოციალური მეწარმეობის სამუშაო ჯგუფზე საუბრისას, რომლის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა პასუხისმგებელი სამინისტროების წარმომადგენლები, აღინიშნა ბიზნესის სექტორის ჩართულობის მიზანშეწონილობა. თავის მხრივ, მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის აღმასრულებელი პრეზიდენტის მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა, ჩაერთოს ამ დიალოგში.
- ცალკე გაესვა ხაზი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობისა და თანამშრომლობის აუცილებლობას სხვა დაინტერესებულ მხარეებთან სოციალური მეწარმეობის ხელშემწყობი გარემოს შექმნის მიზნით. ხელშემწყობ გარემოზე საუბრისას ხაზი გაესვა სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური და არაფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებს. სხვადასხვა სახის შეღავათებზე საუბრისას დისკუსია გაიმართა საგადასახადო შეღავათების დაწესების მიზანშეწონილობასა და ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა პოტენციურ რისკებზე.
- ხელისუფლების მხრიდან თანამშრომლობის კონტექსტში ხაზი გაესვა მერიის მხრიდან მზობას, განაგრძოს უკვე ჩამოყალიბებული სტრატეგიული თანამშრომლობა სოციალური მეწარმეობის განვითარების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან და უშუალოდ ჩაერთოს კონკრეტული მხარდამჭერი მიმართულებების შემუშავებაში ქალაქის დონეზე. აქვე კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ გაგრძელდება მერიისა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მრგვალი მაგიდის ფორმატში დაწყებული შეხვედრები, რომელიც მიემდგვნება სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებული კონკრეტული თემების განხილვას.
- ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის დირექტორის მხრიდან გაჟღერდა, რომ ფონდის საგრანტო კომპონენტის ერთ-ერთი პრიორიტული მიმართულება 2014 წელს ისევ სოციალური მეწარმეობა გახლავთ (ცნობისათვის, გასულ წელს ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა რამოდენიმე სოციალურ მეწარმეობაზე ორიენტირებული პროექტი). ამ კუთხით ფონდი თანამშრომლობს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდთან.
- სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაციის აუცილებლობაზე საუბრისას ხაზი გაესვა ზოგადად მეწარმეობის და მათ შორის სოციალური მეწარმეობის შესახებ ცნობიერების ამაღლების, აგრეთვე შესაბამისი უნარების განვითარებას ბავშვებში და ახალგაზრდებში და ამ კონტექსტში განათლების კომპონენტს გაესვა ხაზი. ამასთან მიმართებაში აღინიშნა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში მიმდინარე კონკურსი: სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად (www.gosocialenterprise.ge), რომელიც უკვე მეორე წელი იმართება.